

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

მეცნიერება — საზოგადოების
მამოძრავებელი ძალა

SCIENCE – DRIVING FORCE OF SOCIETY
НАУКА – ДВИЖУЩАЯ СИЛА ОБЩЕСТВА



თბილისი – Tbilisi – Тбилиси

2024

წინამდებარე გამოცემაში მოცემულია ერთობლივი კომუნიკე შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ; დაბეჭდილია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის, აკადემიკოს ასაფ გაჯიევისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსვლები.

This publication comprises a joint communiqué on the meeting of the presidents of the Academy of Sciences of the member states of the Black Sea Economic Cooperation. The speeches of the Secretary General of the Black Sea Economic Cooperation Parliamentary Assembly, Academician Asaf Gajiev and the President of the Georgian National Academy of Sciences, Academician Roin Metreveli have been printed.

რედატორი აკადემიკოსი **რამაზ ხუროძე**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

Editor academichian **Ramaz Khurodze**, vice-president of the Georgian National Academy of science

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

Published according to the Resolution of the Editorial and Publishing Council of the Georgian National Academy of Sciences

ერთობლივი კომუნიკე

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების შეხვედრის შედეგების შესახებ

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის თაოსნობით 2024 წლის 14 თებერვალს სტამბოლში ჩატარდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების პირველი შეხვედრა თურქეთის წამყვანი უნივერსიტეტების რექტორების მონაწილეობით, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილე, თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე ბ-ნი ფათიჰ დონმეზი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი ბ-ნი ასაფ გაჯიევი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მუდმივი საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივნის პირველი მოადგილე ქ-ნი მერვე კავაკჩი, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის, ჩრდილოეთ მაკედონიის, რუმინეთის, თურქეთის, უკრაინის და შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა კონსტრუქციულ და საქმიან ატმოსფეროში გაცვალეს მოსაზრებები შავი ზღვის ფართო რეგიონის ქვეყნებს შორის მეცნიერებისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის საკითხების ფართო

წრის თაობაზე. აღინიშნა ურთიერთქმედების მდგრადი დინამიკა მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოებში წევრი სახელმწიფოების უპირატესობების სრულად გახსნის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წინსვლით განვითარებას ურთიერთ სარგებლის პრინციპების და ერთობლივი აყვავების უზრუნველყოფისათვის.

გამოხატული იქნა ურთიერთდაინტერესება თანამშრომლობის გააქტიურებისთვის მეცნიერებისა და განათლების სფეროში ქვეყნების პოტენციალის გაფართოების, თანამშრომლობის ზრდის და ცოდნის გაცვლის მიზნით როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ დონეზე. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ახალი ერთობლივი პროექტების რეალიზაცია წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, ახალი მეცნიერულ-საგანმანათლებლო ერთობლივი ცენტრების შესაქმნელად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების რეალიზაციისათვის, მეცნიერული გამოკვლევების მხარდასაჭერად, განათლების სფეროში ურთიერთ-გაცვლის მასშტაბების გასაფართოებლად, ციფრული განათლების სფეროში ურთიერთქმედების ინოვაციური ფორმატების რეალიზაციისათვის და სხვ. გარდა ამისა, მეცნიერებათა აკადემიებს შორის თანამშრომლობა საშუალებას მისცემს სხვადასხვა დარგის მეცნიერებს გააერთიანონ გამოცდილება და ძალისხმევა, განამტკიცონ მეცნიერული პოტენციალი და უფრო ეფექტიანად გადაწყვიტონ თანამედროვეობის კომპლექსური ამოცანები.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი სახელმწიფოების მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ყველა სახელმწიფოსთვის განკუთვნილ საპროგრამო დოკუმენტში „ეკონომიკური დღის წესრიგი: გზა შავი ზღვის ფართო რეგიონის მდგრადი მომავლისაკენ“. დოკუმენტი მიღებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს 47-ე სხდომაზე 2023 წლის 15 დეკემბერს.

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ამ შეხვედრის მნიშვნელობას პარტნიორული ურთიერთობის განმტკიცებისთვის და სხვადასხვა ქვეყანას შორის გამოცდილების გაზიარებისთვის და განაცხადეს, რომ დარწმუნებული არიან, აუცილებელია მეცნიერულ და ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება შემდეგი სხდომა ჩატარდეს 2025 წელს, სტამბოლში, შავი ზღვის უნივერსიტეტების ქსელთან თანამშრომლობით.

JOINT COMMUNIQUE
ON THE RESULTS OF THE MEETING OF THE
PRESIDENTS OF ACADEMIES OF SCIENCES OF
THE BSEC MEMBER STATES

Upon the initiative of the Parliamentary Assembly of the Black Sea Economic Cooperation, on 14 February 2024, the First Meeting of the Presidents of the Academies of Sciences of the BSEC Member States with the participation of Rectors of leading Turkish universities, was held in Istanbul, and was attended by Mr. Fatih Dönmez, PABSEC Vice-President, Head of the PABSEC Turkish Delegation, Mr. Asaf Hajiyev, PABSEC Secretary General, Ms. Merve Kavakci, First Deputy Secretary General of the BSEC Permanent International Secretariat, the representatives of the Academies of Sciences of Azerbaijan, Bulgaria, Georgia, Moldova, North Macedonia, Romania, Türkiye, Ukraine, and the Black Sea Universities' Network.

The participants, in a constructive working atmosphere, exchanged views on a wide range of issues of cooperation in the field of science and education among the countries of the Wider Black Sea Region. It was noted the stable dynamics of interaction with the aim to fully unlock the advantages of the member states within the frame of multilateral cooperation, that will contribute to the progressive development of the Black Sea Economic Cooperation as a whole based on the principles of mutual benefit and ensuring common prosperity.

The Meeting expressed mutual interest in further advancement of cooperation in the field of science and education in order to expand the potential of countries, enhance cooperation and exchange of knowledge, both at the bilateral and multilateral levels. It was underlined the importance of implementing new joint

cooperation projects for training highly qualified personnel by leading higher education institutions, creating joint research and educational centres, implementing joint educational projects, supporting scientific research, expanding the scope of mutual exchanges in the field of science and education, implementing innovative formats of interaction in the field of digital education, strengthening science and education in the field of Artificial Intelligence, ensuring exchange for students, teachers and researchers, providing grants for joint scientific research, etc. At the same time, cooperation between academies of sciences allows scientists from different disciplines to combine experience and efforts, increase scientific potential and effectively meet complex contemporary challenges.

Representatives of the Academies of Sciences of the BSEC Member States expressed support for the achievement of the goals and objectives set forth in the program document for all BSEC Member States “Economic Agenda: Towards a Sustainable Future of the Wider Black Sea Area”, adopted at the 47th Meeting of the BSEC Council of Ministers of Foreign Affairs on 15 December 2023.

The participants emphasized the importance of the present meeting for strengthening partnerships and exchanging experiences from different countries and expressed confidence that it is necessary to further deepen relations in the scientific and humanitarian spheres. It was decided to hold such meetings every year.

The Participants welcomed the proposal of the Istanbul University to hold the next meeting in Istanbul in 2025 in cooperation with the Black Sea Universities’ Network.

СОВМЕСТНОЕ КОММЮНИКЕ ПО ИТОГАМ ВСТРЕЧИ ПРЕЗИДЕНТОВ АКАДЕМИЙ НАУК ГОСУДАРСТВ-ЧЛЕНОВ ЧЭС

По инициативе Парламентской Ассамблеи Черноморского Экономического Сотрудничества 14 февраля 2024 г. в Стамбуле состоялась Первая встреча Президентов Академий наук государств-членов ЧЭС с участием ректоров ведущих турецких университетов, в котором приняли участие заместитель Председателя ПАЧЭС, Глава турецкой делегации в ПАЧЭС г-н Фатих Донмез, Генеральный секретарь ПАЧЭС г-н Асаф Гаджиев, Первый заместитель Генерального секретаря Постоянного международного секретариата ЧЭС г-жа Мерве Кавакчи, представители Академий наук Азербайджана, Болгарии, Грузии, Молдовы, Северной Македонии, Румынии, Турции, Украины, и Сети Черноморских Университетов.

Участники встречи в конструктивной и деловой атмосфере обменялись мнениями по широкому кругу вопросов сотрудничества в области науки и образования между странами Широкого Черноморского Региона. Была отмечена устойчивая динамика взаимодействия с целью полного раскрытия преимуществ государств-членов в рамках многостороннего сотрудничества, что будет способствовать поступательному развитию Черноморского Экономического Сотрудничества в целом на основе принципов взаимной выгоды и обеспечения совместного процветания.

Была выражена взаимная заинтересованность в дальнейшей активизации сотрудничества в области науки и образования в целях расширения потенциала стран, наращивания сотрудничества и обмена знаниями, как на двустороннем, так

и на многостороннем уровне. Была отмечена важность реализации новых совместных проектов сотрудничества по подготовке высококвалифицированных кадров ведущими высшими учебными заведениями, создания совместных научно-образовательных центров, реализации совместных образовательных проектов, поддержки научных исследований, расширения масштабов взаимных обменов в сфере науки и образования, реализации инновационных форматов взаимодействия в области цифрового образования, укрепления науки и образования в области искусственного интеллекта, обеспечения обмена для студентов, преподавателей и научных сотрудников, предоставления грантов на проведение совместных научных исследований, и др. Кроме того, сотрудничество между академиями наук позволит ученым разных дисциплин объединить опыт и усилия, укрепить научный потенциал и более эффективно решать комплексные задачи современности.

Представители Академий наук государств-членов ЧЭС выразили поддержку достижению целей и задач, сформулированных в программном документе для всех государств-членов ЧЭС «Экономическая повестка дня: путь к устойчивому будущему Широкого Черноморского региона», принятом на 47-м заседании Совета министров иностранных дел ЧЭС 15 декабря 2023 г.

Участники подчеркнули значение нынешней встречи для укрепления партнерских отношений и обмена опытом разных стран и выразили уверенность в том, что необходимо и дальше углублять взаимоотношения в научной и гуманитарной сферах. Было решено проводить такие встречи ежегодно.

Участники встречи с удовольствием приняли предложение Стамбульского университета провести следующую встречу в 2025 году в Стамбуле совместно с Сетью Черноморских университетов.

მეცნიერება - საზოგადოების მამოძრავებელი ძალა

ასაფ გაჯიევი - აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსი

*მეცნიერებამ უფრო ადრე გვაქცია ჩვენ ღმერთებად, ვიდრე
ადამიანებად ყოფნას ვისწავლიდით
ჟან რასტანი (ფრანგი ბიოლოგი და ფილოსოფოსი)*

XX საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფოთა ძალა და ძლიერება ფასდებოდა მათი ბუნებრივი სიმდიდრით, კერძოდ, ენერგეტიკული რესურსებით. დღეს მსოფლიო ენერგეტიკული სექტორი 3,4-4,0 ტრილიონ აშშ დოლარად ფასდება.

XX საუკუნის დასასრულისათვის სარბიელზე გამოდის საბანკო სექტორი, რომლის განვითარებას დიდი შემოსავალი მოაქვს სახელმწიფოსთვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნები, როგორცაა შვეიცარია, ლუქსემბურგი, სინგაპური და სხვ., სადაც ცხოვრების მაღალი დონეა. დღეისათვის მსოფლიო საბანკო სექტორი 4,0-4,5 ტრილიონ აშშ დოლარად ფასდება.

XXI საუკუნის დასაწყისში მეცნიერების დიდი სამეცნიერო მიღწევების წყალობით სწრაფი ტემპით განვითარდა საინფორმაციო და მაღალი ტექნოლოგიები, რომლებიც თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. აღნიშნული სექტორი დღეს 6,0-6,5 ტრილიონ აშშ დოლარად ფასდება და ინვესტიციები ამ სექტორში განუხრელად იზრდება. ცხადია, რომ ინფორმაციული ტექ-

ნოლოგიების საფუძველია მეცნიერება და მისი მიღწევები. ისეთი ქვეყნები, როგორც არის ფინეთი, ნიდერლანდები, დანია, იაპონია, სინგაპური და სხვ. არ ფლობენ დიდ ბუნებრივ რესურსებს, მაგრამ განვითარებული და ეფექტიანად გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით ცხოვრების მაღალ დონეს ინარჩუნებენ.

მსოფლიო ბანკის სტატისტიკის თანახმად სახელმწიფოს განვითარების დონე განისაზღვრება სამი მთავარი ფაქტორით. ადამიანური ფაქტორი, მრეწველობის განვითარების დონე და ბუნებრივი რესურსების არსებობა. მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებულ რეგიონში - ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ და კანადა) ადამიანური ფაქტორი განსაზღვრავს განვითარების 76%-ს, მრეწველობის ფაქტორი - 19%-ს და ბუნებრივი რესურსების კი მხოლოდ 5%-ს. სწორედ ადამიანური ფაქტორი განსაზღვრავს მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების დონეს. ყოფილი სსრკ-ს სივრცეში ბუნებრივი რესურსების წილი საკმაოდ დიდია და ზოგიერთ ქვეყანაში 75%-ს აღემატება.

უკანასკნელ წლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების წყალობით აშკარა ნახტომი მოხდა სამხრეთ კორეის, ჩინეთის და აზიის სხვა ქვეყნების განვითარებაში. თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციულ ტექნოლოგიებში ინვესტირების მხრივ წამყვანი ქვეყნებია აშშ და ჩინეთი, რომლებიც ყოველწლიურად 200 მილიარდ დოლარს დებენ ამ დარგში. ამასთან, ამგვარი ინვესტიციები წლითიწლობით იზრდება. როგორც ჩანს, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ამ ქვეყნების ეკონომიკა

მსოფლიოს პირველ და მეორე ეკონომიკად მიიჩნევა. ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას კარგად განვითარებული მეცნიერება აქვს.

მსოფლიო ბანკი ქვეყნის განვითარების სამ ძირითად ფაქტორს გამოყოფს, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ზბიგნევ ბჟეზინსკი კი ქვეყნის განვითარების ოთხ ძირითად ფაქტორს განსაზღვრავდა - ეკონომიკას, სამხედრო ძლიერებას, კულტურას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს. აშკარაა, რომ პირველი ორი ფაქტორი ძალზე დამოკიდებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე.

თანამედროვე მეცნიერება კოლექტიური ცნებაა, რადგან ჯერ ერთი, მეცნიერებას არ გააჩნია საზღვრები და ეროვნება. მიაქციეთ ყურადღება ნობელის პრემიის მინიჭებას. ის ხშირად მიენიჭება სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მეცნიერებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების წყალობით მეცნიერებს შეუძლიათ ეფექტიანად ითანამშრომლონ, ისარგებლონ ერთმანეთის მიღწევებით. ამიტომ საერთაშორისო თანამშრომლობა პირველ პლანზე გამოდის.

თანამედროვე ეპოქაში შეინიშნება მეცნიერების სხვადასხვა სფეროს შორის საზღვრების მოშლა და მეცნიერება ერთ განუყოფელ მთლიანობად გადაიქცევა. XX საუკუნის მთავარი მეცნიერული აღმოჩენაა ადამიანის გენომის გაშიფვრა, რაც მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მეცნიერების სხვა სფეროების სინთეზის წყალობით მოხერხდა. ამიტომაც, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების სინთეზი მსოფლიო მეცნიერების განვითარების საფუძველია.

2008 წელს თავს დაგვატყდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დღესაც გრძელდება. 2009 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა, ბ-ნმა ბარაკ ობამამ თეთრ სახლში მიიწვია ამერიკის ეროვნული აკადემიის, საინჟინრო და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები და მოუწოდა მათ ძალისხმევა არ დაიშურონ კრიზისიდან გამოსვლისათვის. პრეზიდენტმა ობამამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ მეცნიერულ მიღწევებს შეუძლია დაეხმაროს მსოფლიო ეკონომიკას მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეს კრიზისიდან. მან გაზარდა მეცნიერებისათვის გაწეული ყოველწლიური ხარჯები 100 მილიარდიდან 400 მილიარდ დოლარამდე. მოგვიანებით ეს თანხა 700 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერების განვითარებისთვის აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ფაქტორებს:

1. მეცნიერების დაფინანსება. დღეს მნიშვნელოვანი ცნებაა ინოვაცია. თუკი მეცნიერება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფინანსების გადაყვანა ცოდნაში, ინოვაციები გახლავთ ცოდნის ფინანსებში გადაყვანის რთული პროცესი. აქედან გამომდინარე, მკაფიო ხდება ჯაჭვი: ფინანსები-ცოდნა-ინოვაციები-ფინანსები მეცნიერება არის სფერო, რომელსაც საგრძნობი შემოსავალი მოაქვს სახელმწიფოსთვის და როგორც სულიერი ცნება, დიდ როლს თამაშობს ადამიანის აღზრდაში.

როგორც ცნობილია, თუ მეცნიერების განვითარებისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ზე ნაკლები გამოიყოფა, ასეთ შემთხვევაში მეცნიერებას ძლივ-ძლივობით გააქვს თავი. თუკი გამოიყოფა 1,5% – მეცნიერება უზრუნველყოფს საკუთარ თავს, ხოლო თუ მეცნიერებაზე დანახარჯები 2%-ს აღემატება, მაშინ მეცნიერებას არსებითი შემოსავალი მოაქვს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის.

მეცნიერებაში ინვესტირებული თანხების მიხედვით დღეს მსოფლიოში აშშ ლიდრობს (709 მილიარდი აშშ დოლარი). ამის შედეგად აშშ-ს 400-ზე მეტი ნობელის ლაურეატი ყავს მეცნიერების სფეროში. მეორე ადგილზეა ჩინეთი - 620 მილიარდი დოლარი და ნობელის პრემიის 8 ლაურეატი. ამის შემდეგ მოდის იაპონია - 172 მილიარდი დოლარი და ნობელის პრემიის 29 ლაურეატი. მთლიან შიდა პროდუქტთან პროცენტული შეფარდებით ლიდერები არიან ისრაელი (5,5%, ნობელის პრემიის 13 ლაურეატი) და სამხრეთ კორეა (4,93%). შემდეგ არიან შვედეთი (3,4%, ნობელის პრემიის 32 ლაურეატი), ავსტრია (3,255, ნობელის პრემიის 22 ლაურეატი).

რთული სურათია სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ალბანეთი - მთლიანი შიდა პროდუქტის 0,18%, სომხეთი - 0,20%, აზერბაიჯანი - 0,20%, ბულგარეთი - 0,77%, საქართველო - 0,25%, საბერძნეთი - 1,45%, მოლდოვა - 0,23%, ჩრდილოეთ მაკედონია - 0,38%, რუმინეთი - 0,47%,

რუსეთი - 0,99%, სერბია - 0,99%, თურქეთი - 1,40%, უკრაინა - 0,29%.

რაც შეეხება სახსრების გამოყოფას ერთ მკვლევარზე, აქ შემდეგი სურათი გვაქვს: ლიდერია შვეიცარია - 460 000 აშშ დოლარი (ნობელის პრემიის 28 ლაურეატი). აშშ - 360 000 დოლარი, გერმანია - 295 000 დოლარი ჩინეთი - 266 000 დოლარი, იაპონია - 253 000 დოლარი, თურქეთი - 186 000 დოლარი, რუსეთი - 93 000 დოლარი. ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში (რუსეთის გარდა) ეს თანხა 10 000 დოლარს არ აღემატება, რუსეთში - 93 000 დოლარია. საყურადღებოა, რომ თურქეთში ერთ მკვლევარზე ორჯერ მეტი თანხა გამოიყოფა, ვიდრე რუსეთში. როგორც ჩანს, თურქეთის ბოლო მიღწევები სამხედრო ტექნოლოგიების სფეროში იმით აიხსნება, რომ ქვეყანამ არსებითად გაზარდა ასიგნება ერთ მკვლევარზე.

2. მეცნიერული თანამშრომლობა. მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან მეცნიერული თანამშრომლობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია მეცნიერების განვითარება. ყოფილი სსრკ-ს და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა ისეთ ცენტრებთან, როგორიცაა მეცნიერებათა მსოფლიო აკადემია (The World Academy of Sciences) და აბდუს სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, რომლებიც ქალაქ ტრიესტში (იტალია) მდებარეობს. აღნიშნული ცენტრები სისტემატურად იწვევენ ახალგაზრდა მეცნიერებს, თანაც, მატერიალურ დახმარებასაც უწევენ მათ (უნაზღაურებენ მგზავრობის, სასტუმროს ხარჯებს და

ჯიბის ფულსაც კი). გარდა ამისა, აუცილებელია, ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო სტიპენდიის (ჰუმბოლდტის, ფორდის, ფოლკსვაგენის და სხვ.) მოპოვებაში.

თანამედროვე მეცნიერებაში მოქმედებს პრინციპი მათემატიკა-ნანოტექნოლოგიები-ბიოტექნოლოგიები-კოგნიტური ტექნოლოგიები. სწორედ მნბკ პრინციპის წყალობით, როგორც ზემოთ იყო მითითებული, შესაძლებელი გახდა ადამიანის გენომის გაშიფვრა, რაც XX საუკუნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენაა.

სტატის დასასრულს გვინდა შეგახსენოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელზე არსებული წარწერა: „ბოლოს და ბოლოს ჩვენ მოვესწარით ახალ ინგლისს. მოვაწყვეთ ჩვენი სახლები და მეურნეობები და მივხვდით, რომ ამის შემდეგ მთავარი იყო ჩვენი განათლებისა და მეცნიერების განვითარება.“ ჯერ კიდევ 300 წლის წინ ადამიანებს ესმოდათ მეცნიერებისა და განათლების მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისთვის.

Science – driving force of society

Asaf Hajiyev - *Academician PABSEC Secretary General*

“Science has made us Gods even before we are worthy of being men.”

Jean Rostand (French Biologist and Philosopher)

In the first part of 20th century the development level of the countries was measured by their **natural resources, particularly by the energy sector**. Today the global oil and gas industry is estimated around 3.5-4 trillion US dollars.

In the second part of the 20th century – the **banking sector** began to grow and gained an importance. Today the banking sector - is estimated around 4-4.5 trillion US dollars.

In the 21st century the new division - the Information and Technology Sector (IT) gained an importance. Today the IT sector is estimated around 6-6.5 trillion US dollars. Nowadays the level of scientific development is one of the most important indicators, defining the development of the countries. The development of IT sector depends on the level of science.

According to the World Bank information, the development level of the countries is defined by three main factors: the human capital, the industrial factor and the natural resources.

The most developed part of the world is North America (USA and Canada) where: human capital is estimated at 76% the industrial factor - at 19% Using of the natural factor is only 5%. In this respect, the human capital becomes one of the main factors for the development of all the countries and depends on the level of science and technology.

Have a look to Japan, Finland, Singapore, Denmark, Holland and others. These countries do not have rich natural resources but

thanks to science and of course IT have a high life standard. Last years we observe high development in Asia - China, Singapore, South Korea. They invest high amount to science, including IT sector and have high level of life standard.

Zbigniew Brzezinski mentioned about 4 factors that define the development of the leading countries: Economy, Military power, Culture, **Science and technology**.

The economic and military factors strongly depend on **the Science and Technology**.

The development of science during second half of 20th and 21st century is built on the **collective conception**.

Strong scientific cooperation on different continents is becoming **international concept**.

Science has no borders, no nationality, no race – non dividable concept of the world.

Modern science unites **different directions of sciences**.

If we look to the developed countries, we will see that they all have a high-developed level of science

World economic crisis in 2008

The President of the USA, Mr. Obama invited the Presidents of the National Academies of Sciences, Engineering, and Medicine to work on a joint approach on overcoming the economic crisis. Budget for science was increased from 100 billion US Dollars to 400 billion US dollars. Afterward it was increased again, and today is around 700 billion US Dollars Thus, development of science and technology depends on the following main factors:

1. Finance.

There are science and innovations. Science can be considered as transferring a finance into a knowledge. Innovations - it is transferring knowledge into a finance but it is very complicated. Hence, we have the following chain: Finance – Science

(Knowledge) – Innovation – Finance. If scientific expenses are around 1% of the GDP, science can exist. If scientific expenses are around 1.5% of the GDP, science can exist and cover all own expenses. If scientific expenses are around 2% of the GDP, science can cover own expenses and bring profit to the State Budget.

Expenditures on scientific research and development (OECD data, 2021)

1. USA – 709 billion US Dollars (400 Nobel Prizes)
2. China – 620 billion US Dollars (8 Nobel Prizes)
3. Japan – 172 billion US Dollars (29 Nobel Prizes)

As % of the GDP

- Israel – 5.5 % of the GDP (13 Nobel Prizes)
2. South Korea – 4.93 % of the GDP (1 Nobel Prize)
3. Sweden – 3.4 % of the GDP (32 Nobel Prizes)
4. Austria – 3.25 % of the GDP (22 Nobel Prizes)

Expenditures on Information and Technology

USA and China - 200 billion US Dollars.

Expenditures on scientific research and development, as % of the GDP (WB data, 2021) BSEC Member States

Albania – 0.18 % of the GDP

Armenia – 0.20 % of the GDP

Azerbaijan – 0.20 % of the GDP

Bulgaria – 0.77 % of the GDP

Georgia – 0.25 % of the GDP

Greece – 1.45 % of the GDP

Moldova – 0.23 % of the GDP

North Macedonia – 0.38 % of the GDP

Romania – 0.47 % of the GDP
Russia – 0.99 % of the GDP
Serbia – 0.99 % of the GDP
Türkiye – 1.40 % of the GDP
Ukraine – 0.29 % of the GDP

How much countries invest for a research of one scholar?

Switzerland – 460 000 US Dollars
As result - 28 Nobel Prize laureates
USA - 360 000 US Dollars
Germany – 295 000 US Dollars
China – 266 000 US Dollars
Japan – 253 000 US Dollars
Brazil – 230 000 US Dollars
Türkiye – 186 000 US Dollars
Russia – 93 000 US Dollars
Former Soviet Union counties - 10 000 US Dollars.

2. Scientific cooperation

In ancient Greece all branches of sciences considered as one non-divisible conception

Today we observe how the borders between different branches of science is erasing and science is becoming as one conception. Sometimes, it is difficult to understand where Mathematics passes into Physics, Biology into Chemistry and so on.

Modern Science is based on the principle (MNBIC) Math-Nano-Bio-IT-CT (cognitivity technologies).

The main discovery of XX century the Decoding of the Human Genome was possible thanks to the joint work of scientist in maths, chemistry, biology, physics, due to the collaboration between different directions of science.

Education

Without education, there's no science. Without science, there's no technology. Without technology, there's no progress. Science and education are constantly evolving and widely applicable. Science and education are interdependent interconnected interrelated.

Recommendations for the scientific cooperation in the Black Sea Region.

It is necessary to have an effective legislation for the development of science and education. In some BS States was adopted the law to achieve 2 % of GDP for science.

To find common project in science where joint work can be conducted and grants to be implemented by scholars from different countries

to apply to EU or other scientific funds for getting financial support for this project

to apply to the World Academy of Sciences and the Abdus Salam International Centre for Theoretical Physics for grants and support on common projects with developing countries.

Majority of the BSEC Members States are developing countries.

Recommendations for the scientific cooperation in the Black Sea Region

Very important is to have modern equipment for experimental science countries that have such, like the EU countries and Türkiye can organise joint research with other countries

To participate in scientific international conferences, for exchange of opinions and experience and accordingly enhance the cooperation

To support programmes for students exchange, which will enhance further the collaboration and increase the potential of the scientific institutions

To consolidate and establish fruitful cooperation between the scientific and educational institutions.

Concluding remarks

- Science and education are the main drivers of innovation and progress

- Science provides the foundation for the technological advancements and the development of the human capital

- Scientific cooperation among the BSEC Member States is essential for the joint progress and prosperity in the Black Sea Region

- By establishing collaborative platforms and initiatives, technology transfer will be enhanced, and the cooperative research initiatives will be further stimulated and promoted

- Thus, driving innovation, strengthening the collaboration, exchange of knowledge will bring economic benefits and create new opportunities for the citizens of the Black Sea Region.

- PABSEC is open for cooperation and recognizes that boosting the scientific and technological advancements will bring strong impetus to the economic progress and prosperity of the Black Sea region.

Наука – движущая сила общества

Асаф Гаджиев – академик *Национальной Академии наук
Азербайджана*

Наука сделала нас Богами раньше, чем научились мы быть людьми.

Жан Растан (Французский биолог и философ)

В первой половине XX столетия сила и мощь государств оценивались их природными богатствами, в частности энергетическими ресурсами. Сегодня мировой энергетический сектор оценивается в 3.5-4.0 трлн. долларов США.

Однако, к концу XX столетия на арену выходит банковский сектор, развитие которого приносит большие доходы государству. В качестве примеров можно привести Швейцарию, Люксембург, Сингапур и др., которые имеют высокий уровень жизни. Сегодня мировой банковский сектор оценивается 4.0-4.5 трлн. долларов США.

В начале XXI века благодаря глубоким научным достижениям науки высокими темпами стали развиваться информационные и высокие технологии, которые являются важным звеном современной экономики. Указанный сектор сегодня оценивается в 6.0-6.5 трлн. долларов США и инвестиции в этот сектор растут. Ясно, что основу развития ИТ составляет наука и ее достижения. Такие страны как Финляндия, Голландия, Дания, Япония, Сингапур и др. не обладают богатыми природными ресурсами, но благодаря развитым и эффективно используемым ИТ имеют высокий уровень жизни.

Согласно статистике Мирового Банка (МБ) уровень развития государства определяется тремя главными факто-

рами. Человеческий фактор, уровень развития промышленности и фактор наличия природных ресурсов. В самом развитом регионе мира, в Северной Америке (США и Канада) человеческий фактор определяет 76% развития, фактор промышленности 19% и только 5% фактор природных ресурсов. Человеческий фактор это и есть уровень развития науки и технологий. На пространстве бывшего СССР фактор природных ресурсов достаточно высокий и в некоторых странах превышает 75%.

В последние годы благодаря развитию ИТ наблюдается скачок в развитии Ю.Кореи, Китая и др. азиатских стран. В современном мире ведущими странами по инвестированию в ИТ являются США и Китай, которые каждый год вкладывают в эту отрасль более 200 млрд. долларов США, причем такие инвестиции растут год от года. По-видимому это является одним из факторов того, что эти страны являются первой и второй экономиками мира. Все развитые страны имеют высокоразвитую науку.

Если Мировой Банк выделяет три основных фактора развития страны, то известный политический деятель Збигнев Бжезинский определял четыре основных факторов развития страны - Экономика, Военная мощь, Культура, Наука и технологии. Ясно, что указанные два первых фактора сильно зависят от развития науки и технологий.

Современная наука является понятием коллективным, так как во-первых, наука не имеет границ и национальности. Обратите внимание на присуждение Нобелевский премий. Они как правило присуждаются группам ученых, живущих в разных странах. Благодаря ИТ ученые живущие на различных континентах могут эффективно сотрудничать, пользуясь

достижениями друг друга. Поэтому, международное сотрудничество ученых выходит на первый план.

В современной науке наблюдается стирание границ между различными областями науки и наука превращается в одно неделимое целое. Главное научное открытие XX века – расшифровка человеческого генома, удалось сделать благодаря синтезу математики, физики, химии, биологии и др. областей науки. Поэтому, синтез различных направлений науки это основа развития мировой науки.

В 2008 году разразился мировой экономический кризис, который продолжается и сегодня. В 2009 году Президент США господин Барак Обама пригласил в Белый Дом руководителей и представителей Американской Национальной Академии наук, Инженерной и Медицинской Академий наук и призвал их способствовать выходу из кризиса. Президент Обама подчеркнул, что именно научные достижения могут помочь мировой экономике выйти из кризиса с минимальными потерями. Он увеличил расходы на науку с 100 млрд. долларов до 400 млрд., позже эту сумма выросла до 700 млрд. долларов США.

Таким образом, для развития современной науки необходимо обратить внимание на следующие факторы:

Финансирование науки. Сегодня важным понятием являются инновации. Если науку можно определить как перевод финансов в знания, то инновации это сложный процесс перевода знаний в финансы. Поэтому, вырисовывается цепочка Финансы - Знания - Инновации - Финансы. Наука это область, которая приносит ощутимые доходы для государства и будучи понятием духовным, воспитывает человека.

Известно, что если на развитие науки выделяется менее 1% ВВП страны, то наука существует, сводя концы с концами. Если выделяется порядка 1.5%, то наука может обеспечить

себя. Но если научные расходы превышают 2% ВВП, то наука приносит существенный доход в государственный бюджет страны.

Сегодня мировым лидером по инвестированию средств в науку являются США (709 млрд. Долларов США). Как результат в США имеются более 400 лауреатов Нобелевской премии в области науки. На втором месте идет Китай - 620 млрд. Долларов и 8 Нобелевских лауреатов. Далее Япония, 172 млрд. И 29 Нобелевских лауреатов. В процентах по отношению к ВВП лидерами являются Израиль (5.5%, 13 Нобелевских лауреатов) и Ю.Корея (4.93%). Далее идут Швеция (3.4%, 32 Нобелевских лауреатов), Австрия (3.25%, 22 Нобелевских лауреатов).

Удручающая картина наблюдается в бывших республиках СССР и странах Восточной Европы.

Албания - 0.18 % от ВВП, Армения - 0.20 %, Азербайджан - 0.20 %, Болгария - 0.77 %, Грузия - 0.25 %, Греция - 1.45 %, Молдова - 0.23 %, Северная Македония - 0.38 %, Румыния of the GDP - 0.47 %, Россия - 0.99 %, Сербия - 0.99 %, Турция - 1.40 %, Украина - 0.29 %.

Важным вопросом является выделение средств на одного исследователя. Здесь наблюдается следующая картина. Лидером является, Швейцария - 460 000 долларов США (результат 28 Нобелевских лауреатов). США - 360 000 долларов, Германия - 295.000 долларов, Китай - 266.000 долларов, Япония - 253.000 долларов, Турция 186.000 долларов, Россия - 93.000 долларов. В странах бывшего СССР (кроме России) эта сумма составляет не более 10.000 долларов. Обратите внимание, что в Турции на одного исследователя выделяется в два раза больше, чем в России. По-видимому последние

достижения Турции в области военных технологий объясняется тем, что страна существенно увеличила ассигнования на одного исследователя.

Научное сотрудничество. Без научного содружества с ведущими мировыми научными центрами. Трудно представить себе развитие науки. Странам бывшего СССР и Черноморского региона необходимо активно сотрудничать с такими центрами как Всемирная Академия наук (The World Academy of Sciences) и Международный центр Теоретической Физики им. Абдус Салама (ICTP), которые находятся в г. Триест (Италия). Указанные центры регулярно приглашают молодых ученых в эти центры, причем, оказывая им материальную помощь (оплата билетов, проживания и даже карманные расходы). Помимо этого нашим молодым ученым необходимо активно участвовать в получении различных международных стипендий (Гумбольдская стипендия, Форд, Фольксваген и другие стипендии).

В современной науке действует принцип

Modern Science is based on the principle (Математика-Нанотехнологии-Биотехнологии-Когнитивные технологии). Именно благодаря принципу МНБК, как указывалось выше, удалось расшифровать человеческий геном – самое значимое научное открытие XX века.

Завершая статью хотим напомнить слова написанные на главных воротах Гарвардского университета, где сказано: «Наконец мы добрались до Новой Англии. Мы организовали свои дома и хозяйства и после этого поняли, что главным теперь является развитие нашего образования и науки. Еще 300 лет тому назад люди понимали важность науки и образования для развития общества.

ცხოვრების, სამეცნიერო-პედაგოგიური და
საზოგადოებრივი მოღვაწეობის
ძირითადი თარიღები



ასაფ გაჯიევი დაიბადა 1951 წლის 29 მაისს ქალაქ განჯაში.

1968 წელი – ქალაქ განჯის №4 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1970 წელი – სტუდენტობის პერიოდში დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ ი. ვ. ბელიაევის ხელმძღვანელობით.

1972 წელი – დაჯილდოვდა საგანგებო პრიზით მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისათვის.

1973 წელი – დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1973-1975 წლები – მუშაობდა სტაჟიორად მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკური მეთოდების ფაკულტეტთაშორის ლაბორატორიაში, რომელიც შექმნა აკადემიკოსმა ა. ნ. კოლმოგოროვმა და თავადვე ხელმძღვანელობდა.

1975 წელი – შევიდა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში და განაგრძობდა მეცნიერულ მოღვაწეობას პროფესორ ი. კ. ბელიაევის ხელმძღვანელობით.

1975-1978 წლები – სწავლობდა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში.

1979 წელი – დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

– შრომითი საქმიანობა დაიწყო აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში (ამჟამად მართვის სისტემების ინსტიტუტი), სადაც მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის და განყოფილების გამგედ.

1980 წელი - მიენიჭა აზერბაიჯანის ლენინური კომკავშირის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

- მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ ახალგაზრდა მეცნიერთა მათემატიკურ კონფერენციაზე მის მიერ წარდგენილი მოხსენება სამ საუკეთესო მოხსენებათა რიცხვში შევიდა.

1981 წელი - 1980 წელს ახალგაზრდა მეცნიერ მათემატიკოსთა კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება წარდგენილ იქნა ბუდაპეშტში გეოფიზიკოსთა ევროპული საზოგადოების XVIII კონგრესზე სექციაში „მათემატიკური მეთოდების გამოყენება გეოფიზიკაში“.

- მოხსენებით გამოვიდა გეოფიზიკოსთა ევროპული საზოგადოების XVIII კონგრესზე ბუდაპეშტში (უნგრეთი).

1984 წელი - ექვსთვიანი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა შვედეთში სამეფო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ჩალმერსის უნივერსიტეტში.

1986-1991 წლები - მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დოქტორანტი.

1988 წელი - მოხსენებით გამოვიდა საერთაშორისო კონფერენციაზე „Stochastic Methods in Experimental Sciences (COSMEX)“ ვროცლავში (პოლონეთი).

